

ჯანსაღი კონკურენცია

სოფიო ტალახაძე
სტუ-ს დოქტორანტი

„ერთადერთი ადამიანი, ვისაც უნდა შეეძარო, საკუთარი თავია“
ზიგმუნდ ფროიდი

აბსტრაქტი

თანამედროვე რეალობაში, სოციალურ ადამიანთა ცხოვრების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ცნება კონკურენტუნარიანობაა. კონკურენციის უნარი, როგორც აუცილებელი პირობა, ფიგურირებს საგანმანათლებლო პროცესში, პირად საქმიანობასა და ა.შ. ფაქტობრივად, აღნიშნული ტერმინი საკმაოდ ფართოდ გამოიყენება და მრავალ სფეროს მოიცავს.

კონკურენციის საკითხის სწორი რეფლექსია მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ადამიანში ჩამოყალიბდეს კარგი შინაგანი მოტივაცია და თვითრეალიზაციის პროცესი მიმდინარეობდეს ჯანსაღად. ნებისმიერ სფეროში, ნებისმიერ ასაკში აღნიშნული საკითხი გავლენას ახდენს ადამიანის ეგზისტენციალურ ყოფაზე, ამდენად, მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანობის ტოკსიკური და რესურსული ნაწილის შესწავლა-გააზრება.

ჯანსაღი კონკურენცია საკუთარი უნიკალურობის შეგრძნებიდან იწყება, მაგრამ არ იგულისხმება იმგვარი სარბიელი, სადაც აუცილებლად „ყველას უნდა გაასწრო“. უნიკალურობის შეგრძნება თვითრეფლექსიის უნარით იწყება და იმ ეგზისტენციალური საზრისების გაცნობიერებით თუ „სად ვართ“, „სად მივდივართ“, „რატომ და როგორ მივდივართ“, „რა გვინდა“ და ა.შ. ამგვარი თვითშეგნებების გზა აყალიბებს ადამიანში ჯანსაღ პარადიგმებს ნებისმიერი საკითხის მიმართ, რაც საბოლოოდ მის პიროვნულობაში აისახება და გარკვეულ „ექსკლუზივს“ ქმნის.

ქართულ რეალობაში, აღზრდის პროცესში, ხშირად ვხვდებით იმგვარ ტოკსიკურ ფრაზებს, როგორიცაა - „სხვამ როგორ გაჯობა, ნახე ის როგორ სწავლობს, როგორი წარმატებულია“, „შენ ყველაზე კარგი ან ცუდი ხარ“ და ა.შ. შედეგად იქმნება დაბალი თვითშეფასება, უუნარობის განცდა და მუდმივი შური სხვის მიმართ. ფაქტობრივად, მაღალი აგრესიის და ძალადობის ერთ-ერთი მიზეზი კონკურენციის არასწორი აღქმა შეიძლება იყოს, რადგან განვითარების საზომი ხდება სხვა ადამიანი და არა საკუთარი ცხოვრება, საკუთარი მიზანი.

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, თანამშრომლობა, ინტერნალი, ექსტერნალი, მოტივი, წარმატება, თვითაქტუალიზაცია.

HEALTHY COMPETITION

Sophio Talakhadze
Phd student of GTU

ABSTRACT

Competitiveness is one of the fundamental notions for societal adaptability in current reality. As an essential precondition, the ability to compete arises in the educational process, individual activities, and so on. Actually, this term is quite common and covers a wide range of fields.

Proper thought on the competitiveness problem is necessary for developing a healthy inner motivation as well as a healthy self-realization process in an individual. This issue has an impact on an individual's existential being in whatever sphere or age. As a result, it is critical to investigate and comprehend the toxic and resource components of competition.

Healthy competition arises from a sense of one's own uniqueness. It does not mean you have to "overtake all of them." The sense of one's uniqueness begins with the ability to self-reflect and realization of existential conceptions such as "where are we?", "where are we going?", "why and how are we going?", "what do we want?" and so on. Such self-knowledge of an individual develops healthy perspectives about any situation. This is reflected in their personality, giving them a sense of "exclusivity."

In Georgian reality, we frequently hear the following toxic remarks during the process of upbringing: "how could they beat you? Look how well they learn and how successful they are!" or "you are the best of all," or "you are the worst of all," etc. This leads to low self-esteem, a sense of inability, and perpetual envy for others. Actually, a distorted view of competitiveness can be one of the causes of increased aggression and violence, because the other person becomes a criteria of progress rather than one's own life, one's own goal.

Keywords: Competition; Cooperation; Internal External; Motive; Success; Self-Actualization.

შისავალი

ტერმინი კონკურენცია ლათინური წარმოშობისაა და მისი ძირეული სიტყვის, *concurrere*-ს პირველი მნიშვნელობა ჯგუფურ ქმედებას, ხალხის ფორუმს ან/და სხვა საჯარო ადგილას შექუჩებასა და შესაბამის შეხლაშეხოხვას გულისხმობს [1].

დღესდღეობით, აღნიშნული ტერმინი, ფართოდ განიმარტება და მოიცავს ფსიქო-სოციალურ დისციპლინებს. კონკურენტუნარიანობა ის ეგზისტენციალური საკითხია, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქო-სოციალურ ყოფაზე. ამ საზრისების გაცნობიერება და შეფასება, ნაბიჯ-ნაბიჯ, დაბადებიდან იწყება. ეს არის სოციალიზაციის პროცესი, რომელიც ბავშვობაში იწყება იმ გარემოში, სადაც პიროვნება იზადება და იზრდება. ეს პროცესი, უმთავრესად, მოიცავს ღირებულებით ნაწილსაც, რაც საბოლოოდ ქმნის გარკვეულ მსოფლმხედველობას. მაგ. თუკი ბავშვს მუდმივად სხვას ადარებენ, მისი განვითარების საზომი ხდება ნებისმიერი „სხვა“ და შესაბამისად, მუდმივად სხვას ედრება ცხოვრების განმავლობაში.

ამდენად, თუკი ბავშვი ვერ გადალახავს იმ ასაკობრივ კრიზისებს, რასაც ერიკ ერიკსონმა განვითარების კრიზისი უწოდა, არაჯანსაღი თვითშეფასება ყალიბდება. შემდეგ ამ განცდების განზოგადება ხდება ყველა სფეროში, რაც გამოიხატება პიროვნული და პროფესიული რეალიზაციის შიშით, სიტუაციის განრიდებით, ან თვითცენტრირებული განწყობით, როდესაც სხვადასხვა „კომპლექსის“ კომპენსაციით სხვისი დაჯახნა ხორციელდება. არაჯანსაღი თვითშეფასება და უსუსურობის განცდა თავის მხრივ შფოთვას აძლიერებს, რაც თავისთავად ავინოვებს ალქმის არეალს და აზროვნებას ზედმეტად რიგიდულს ხდის. ამგვარი მდგომარეობა კი თავის მხრივ, შემოქმედებითობის და თვითრეფლექსიის პროცესს აშორებს ადამიანს [2].

არასწორი კონკურენციის წარმმართველი ემოცია ხშირად შიშია. რადგან რთულია განსაზღვრო და გახედო საკუთარი ხელწერის შექმნა და არ გახდე „სხვისი პატენტი“. ეს საკითხი ფსიქო-სოციალურ ჰიგიენას მოიცავს, რასაც ბავშვობიდანვე უნდა სწავლობდნენ ადამიანები.

ამდენად, უფროსების მთავარი პასუხისმგებლობაა, რომ ბავშვს დაეხმარონ საკუთარი თავის შეცნობაში, რათა უკეთ განავითარდეს. აღმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები და ჩამოუყალიბდეს რეალიზაციის უნარი. თუ ეს პროცესი ბავშვობაში ვერ წარიმართა ჯანსაღად, ზრდასრულ ასაკში შესაძლოა ინფანტილურობის გაზრდა-განვითარება. ამგვარად არის შესაძლებელი საკუთარი ხელწერის შექმნა, რომელიც აუცილებლად უნიკალურად წარმოჩნდება და თანამშრომლობის გზებს იპოვის.

კონკურენციის ჯანსაღი გააზრება

კონკურენცია, როგორც აღვნიშნე, თანამედროვე და აქტუალური ტერმინია. ის პოპულარო-

ბით სარგებლობს და სხვადასხვაგვარად აღიქმება, ხშირად სხვის მიმართ შეჯიბრის და მოგება-ნაგების კონტექსტში გვხვდება. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ფ.ა. ჰაიეკის აზრით, კონკურენცია ახლის შეცნობის პროცედურაა, რაც დამახასიათებელია ევოლუციისათვის მისი ყველა ფორმით. იგი აიძულებს ადამიანს უნებლიეთ ჩაერთოს ახალ სიტუაციაში, რამდენადაც ზრდადი კონკურენციით თანდათან მალდება ეფექტიანობაც. საქმე არა მარტო ისაა, რომ მთელი ევოლუცია ემყარება კონკურენციას, არამედ ისიც, რომ უწყვეტი კონკურენცია უკვე მიღწეულის საფუძველიცაა [3].

ფაქტობრივად, კონკურენცია, პროცესია, რომელიც შინაგანი განცდებით და წარმოდგენებით საზრდოობს, ვლინდება მოტივებში და შემდეგ ქცევებში.

თავდაპირველად, სოციალიზაციის პროცესში მთავარი ამოცანა ადამიანის ფიზიკური გადარჩენის უზრუნველყოფაა, გაითავისოს საზოგადოების მიერ მიღებული წეს-ჩვეულებები, მაგრამ ადამიანი არ უნდა შეფერხდეს განვითარების ამ ეტაპზე და მან უნდა გაიაროს მნიშვნელოვანი ეტაპები, რომელიც თვითგანვითარებასა და მაღალი მორალის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს, რადგან გააჩნდეს თვითრეფლექსიის და თვითაქტუალიზაციის კარგი უნარი [4].

ნებისმიერ ქცევას საფუძვლად შინაგანი ან გარეგანი მოტივაცია უდევს. რა ქმნის განვითარების მოტივაციას, კონკურენციის სურვილი თუ ინტერნალური მოტივები, რომელიც თვითპრეზენტაციას და თვითრეალიზაციას უდევს საფუძვლად?

ზრდასრულ პირებთან, სიღრმისეული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ექსტერნალური მოტივებით განხორციელებული ქმედება არ გამოირჩევა, ისეთი ეფექტური შედეგით, როგორც ინტერნალური, შიდა მოტივით გადამდგმული ნაბიჯები.

აღსანიშნავია, რომ კონკურენტუნარიანობა, არა მხოლოდ საკუთარი თავის წარდგენას გულისხმობს, არამედ იმ გამოწვევებთან საპასუხო უნარებს, რომელიც მნიშვნელოვანია მისი წარმატებისთვის, ეს საკითხი ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენელმა იბრაჰიმ მასლოუმ თვითაქტუალიზაციის ტერმინში აღწერა.

თვითაქტუალიზირებულ ადამიანს ინტერნალური და ექსტერნალური მოტივების კონგრუენტულობა გააჩნია და პრიორიტეტების განსაზღვრის ასერტული უნარები. საკუთარი მიზნების მისაღწევად თუ დასჯა-ნახალისებას (ექსტრემალური მოტივები) გასცდება ადამიანის მოტივები, პროცესი გაცილებით შემოქმედებითი და უნიკალური ხდება. თანამშრომლობა ხდება საინტერესო პროცესი და ნაკლებია შური და დამარცხების შიშით განცდილი შფოთვები [5].

ამდენად, თუკი ადამიანი მუდმივად მიისწრაფვის საკუთარი პოტენციალის რეალიზაციისაკენ,

იცნობს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს და მუდმივად ავითარებს ამ პროცესს, ეს ხდება ერთი მხრივ, ძლიერი ფაქტორი თვით პრეზენტაციისა და მეორე მხრივ, ჯანსაღი კონკურენციის განმსაზღვრელი.

კონკურენცია თავისთავად გულისხმობს ინტერპერსონალურ ურთიერთობებსაც, სადაც შინაგანი მორალი დიდ წილად განსაზღვრავს პროცესის წარმართვის სიჯანსაღეს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება - თავმდაბლობაა. ადამიანში, ინდივიდუალიზმის ცნობიერი დაბადება განსაზღვრავს თავმდაბლობას და იმ უშუალობას, რაც ნებისმიერ ადამიანს უყვარს მეორე ადამიანში. “როცა ვხედავთ ადამიანებს, რომლებიც ძალადობრივად ან ამპარტავნულად ექცევიან სხვებს ან ძალიან მომთხოვნნი არიან, მათი ქცევა თითქმის ყოველთვის დაბალი თვითშეფასების მანიშნებელია. მათ სჭირდებათ ვინმეს დამცირება, რათა კარგად იგრძნონ თავი” [6:14].

ამდენად, კონკურენცია შემოქმედებითობის წყაროა და ის არ არის ნეგატიური ძალა სადაც მხოლოდ ნაგებული ან მოგებული არსებობს. კონკურენცია განვითარების შესაძლებლობადაც მიიჩნევა, მაგრამ, ამ პროცესის სიჯანსაღე თანამშრომლობის უნარის გარეშე შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ პირველობის მუდმივი გაცდა და ნაგების ისტერიული შიში დაკავშირებულია შინაგან დაუცველობასთან, რომელიც ბავშვობაში ყალიბდება და რომელიც ტოქსიკური პერფექციონიზმის სახით წარმოგვიჩნდება. ეს კი, თავის მხრივ, შინაგანად ძაბავს და ფიტავს ადამიანს, რადგან, ჰყავს თუ არა მეტოქე, მუდმივ კონკურენციას განიცდის. მათი მოტივი არის ის, რომ იყოს ყველაზე საუკეთესო და არასოდეს წააგოს. ამგვარი მდგომარეობა სომატურ პრობლემებშიც იჩენს თავს, რაც მუდმივი ბრძოლის განცდიდან მომდინარეობს. პერფექციონისტი არ აძლევს თავის თავს ნაგების ან შეცდომის უფლებას. ინტერპერსონალურ ურთიერთობებს და ზოგადად ცოვლენებს, მუდმივად პესიმისტურად აფასებენ და შეშფოთებულები არიან. ხშირად, მათი ქცევები რადიკალიზმშიც ვლინდება და „მგლური პრინციპებით“ მოქმედებენ, სადაც ნე-

ბისმიერი საშუალება ამართლებს მიზანს. ამგვარი „თავგანწირვა“ ტოქსიკური საზრდოა, რაც მრავალ ფსიქო-სოციალურ რისკს შეიცავს.

ამდენად, მოქმედება და მოტივები „თამაში ნების გარეშე“ სახიფათოა. ნებისმიერ პროცესს საბაზისო პრინციპები წარმართავს. გარკვეული სტრატეგიების რაციონალური გააზრება, ეთიკა და ფსიქოლოგიური პრინციპები, რომელიც საკუთარი თავის ფლობას და მართვას გულისხმობს. კონკურენცია, ინდივიდუალურიც და გუნდურიც, საკუთარი თავის კარგად ფლობას მოითხოვს, რადგან შესაძლებელი გახდეს პროცესის მართვა, რაც განაპირობებს სასურველ შედეგს. ამდენად, კონკურენცია, არ არის მხოლოდ შეჯიბრი. იგი ფართო ცნებაა, რომელიც პირველ რიგში თანამედროვე გამოწვევებთან ადაპტაციით, პრეზენტაბელურობით და თანამშრომლობის უნარით განისაზღვრება.

დასკვნა

საზოგადოებაში ადაპტირება და სარგებლიანობა შინაგანი პოტენციალის რეალიზაციით იწყება, რასაც აუცილებლად სჭირდება ჯანსაღი თვითშეფასება. ადამიანები მუდმივად ცდილობენ უპირატესობების მოპოვებას, მაგრამ თუკი განვითარების საზომი ხდება სხვა (ნებისმიერი), ვისაც უნდა აჯობო, შური და ბოლმა იპყრობს ადამიანის ცნობიერს და არაგონივრული ნაბიჯების სანინდარი ხდება. ჰუმანისტური ფსიქოლოგია ადამიანის ეგზისტენციას მუდმივ განვითარებაში ხედავს, სადაც ორიენტირებად მხოლოდ საკუთარი მიზნის განსაზღვრაა მომგებიანი და მისი ადაპტაციის უნარი თანამედროვე გამოწვევების მიმართ. სხვაგვარად ტოქსიკური კონკურენციის პირისპირ ყოფნა და მუდმივი სტრესია გარანტირებული.

არასწორი კონკურენციის შედეგია:

- თანამშრომლობაზე უარის თქმა
- მუდმივად/ხშირად სხვასთან შედარება
- სხვისი წარმატების ვერ/არ გაზიარება

მიზეზი - დაბალი ემოციური ინტელექტი, დაბალი თვითშეფასება და კონკურენციის არასწორი გააზრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ენციკლოპედიური ლექსიკონი. <http://www.nplg.gov.ge>
2. ე. ერიქსონი, ბავშვების ფსიქო-სოციალური განვითარება, საგანმანათლებლო დიალოგი, 2013. (ინგლისურად)
3. ს.მ. გარსია. კონკურენციის ფსიქოლოგია: სოციალური შედარების პერსპექტივა. <https://scholarship.law.nd.edu> (ინგლისურად)
4. მ. ბალიაშვილი, სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები. გამომცემლობა „მნიგნობარი“. თბილისი. 2010.
5. დ. გოლემანი. ემოციური ინტელექტი. ბიზნეს ლიტერატურა, თბილისი, 2018.
6. კ.მ. კრისტენსენი. „საკუთარი თავის მართვა“. ბიზნეს ლიტერატურა, თბილისი, 2018.
7. ს. კოვი „მაღალეფექტიანი ადამიანების შვიდი ჩვევა“. გამომცემლობა „ნოტა ბენე“. თბილისი, 2022.
8. პ. დრაკერი. „რა ქმნის ლიდერს“. ბიზნეს ფსიქოლოგია. თბილისი, 2018.